

მარტინ

№ 34 საუკუნელ-კვირაო ლიტერატურული და მსატერიალითი გაზეთი. № 34

24 აგვისტო.

გამოცემა უთველ პრინციპით

1886 წელს.

ფასი გაზეთი „თებერი“-სა
ქრისტიან წლით.... 5 მან. ხანებით წლით.... 3 მან.
სხვა ვადით ხელის მოწერა არ მიღება.

ხელის მოწერა მიღება:
თბილისში რედაქტორი არწივის სეულ ქარგას.
ფოთში ბ-ზი ბესარიოს კალახისთან.

ცალკე ნუმერი გაზ. „თებერი“-სა დარს 15 გაპ.

ისუიდება: თბილისში: ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში, შავერდოვის საგვერტო კონტორაში, ალიხანოვის პაპი-როზის მაღაზიაში, ხიდის ყურთან. ძუღარის ში კილაძეთ წიგნის მაღაზიაში და ბათუმში პარიქმახერარსენასთან.

გამოგზავნილი სტატიები, კორელაციონული ციტატები, ლიტერატურული და
სხვა წვრილი წერილები თუ რედაქტორმ საჭიროდ დაინახა
შესწორებიან.

რედაქცია უმოწმილესად სოხუმის ბ-ზი წერილების: ავტორთ
სტატიები გარჩევით იუგნენ დაწერილი.

გამოგზავნილი ხელობაში რედაქციაში ინახება მხრილდ
ერთს ოვეს. სტატიების უკან გაზიარების რედაქცია არ კის-
რულობს.

უკველ წერილში აუცილებლად მოხსენებული უნდა იყოს აგწო-
რის სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი.

გარეშე მცხოვრებათვის აღრეს: თიფლის. ვე რედაქციი გა. „ТЕАТРЪ“ Галлерეა ბივ. არიუნი № 110.

თეატრის კვირა

წერილმანი თავ-მოუვარება და მსხვილმანი უშეცრება.—
ლინს თუ არა „რესოველის რესოველობაზე“ ლაპარა-
კი?—მაგალითი ჩემის ულოგივობისა.—სასაცილო ამბავი,
თუ რომ სამწერარო არ იყოს.—უშმინდური გაზეთი არ-
წმინდას ეს ხელში.—

მე შეცდი და ჩემს შეცდომას გამოტერით
ვამხელ მკრთხველების წინაშე. დიად, შეცდი და
ვწევგარ კიდეც რომ შეცდი. მე მეგონა, და ანუ
ვცდილობდი მგონებოდა, რომ ბ. ანტ. ფურ-
ცელაძე თითონვე შეკერთებოდა, როცა თავის
ბავშვურ თხზულებას—ლეგენდას შოთა რუსთ-
ველზე ცალკე წიგნად ნახავდა. მე მეგონა რომ
იმისთან „ხანიერს“ ლიტერატურს, რომლის
25 წლის ლიტერატურაში მოდვაწეობის იუბი-

ლეის მაღა იდლესასწაულებს კომიტეტი შემდ-
გრი ბ. ზ. ჭიჭინაძის თავმჯდომარეობით,
ეუცხოებოდა, როდესაც წაიკითხვდა, რაც უწე-
რია ამ ოცი, ოცდა ხუთის წლის წინად და რა-
ისათვისაც ჩვეულებრივ მცირე-წლოვან ავტორს
თავზე ხელს წაუსმენ ხოლმე და ეტუვია: „ბა-
ქალა, ბაქალა, ჩემი ვატარაო!“

ასე მეგონა, ამითი ვნუგებობდი და გულ-
წრფელ საყვედურს ვუთვლიდი ამ წიგნის დამ-
ბეჭდს. თურმე ნუ იტუვით, ეს თხზულება, რო-
მელსაც მესამე კლასის გიმნაზიელიც კი ხელს
არ მოაწერს, რომ სახელი არ შეირცხვინოს,
გამოცემულია ბ. ანტ. ფურცელაძის სრულის
თანხმობით, თუ არ იმისვე თაოსნობით. მე
გაგვრით შევეხ ამ თხზულების დირსებას და
უდროოდ—გამოცემას და ბ. ფურცელაძეს ეს
ისე სწერია, რომ ამხელებული მრავლად ტან-
ჯულ და გვემულ ქართულ ენაზედ, რომელიც

უფელისფერს იტანს, რახაც კი „ავტორნი“
სხვა-და-სხვა ფერისა, გემოვნებისა და ლირსებისა
ანდობენ არა ნაკლებ მრავლად ტანჯულს და
გვემულს თეთრს ქალაჭლს და ერთი ხუთად
გვიბრუნებს იმას, რის თქმაც გავძელეთ იმის
ბროშიურაზედ.

თეთრს ქალაჭლზედ არა-ნაკლებ მრავალ-
ტანჯულო მკითხველი! შეისმინე აჯა ჩემი, გადი-
კითხე წერილი ბ. ანტ. ფურცელაძისა, დაბეჭ-
ვილი ამავე ნომერში და გულ-შროველად მით-
ხარ, რა იყრძენ ამ იერებიადის წაკითხვის შემ-
დეგ? შენთვის ძნელია ამ კათხვაზედ პასუხის
მოცემა, განა? ან იქნება ცუდს ვერას უბედავ
გერთს ჩვენის ბულვარ-ტკენია ახალგაზღლობი-
სას, რომლის თაოსნობითაც „ჰამლეტის“,
მთარგმნელს მიართვეს მისი სურათი და ოქროს
ტარში მოწუობილი კალამი? რახან შენ ვერ
უბედავ, პატარა უურადღება მიწილე და ნუ და-
იზარებ მძივის მარგალიტისაგან გარჩევას. ეს გა-
რჩევა პრმისათვისაც ძნელი არ არის.

ღიატერ-ტურულ განებივრებას დაჩვეული
ბულვარ-ტკენია ახალგაზღლობისაგან და ბ. ზ.
ჭიჭინაძისაგინ გენისად მიჩნეული ბ. ანტ. ფუ-
რცელაძე მაღალ ფარდებიდამ ბძანებს თავის
წერილში: „ამ დღეებში მომაჩეჩეს ხელში (აღ-
ბათაც აღარ კადრულობს!) თეატრის 32 №, სა-
დაც იყო რავდენიმე სიტუა შესახებ ბროშური-
სა „რუსთველი და იშისი ცოლი“. მე სწორე
მოგახსენო, არამც თუ პასუხი ამ შენიშვნისა,
თვით წაკითხვაც არ მსურდა (ნება მიბოძეთ არ
დაგიჯეოთ. იქნება წაკითხვის შემდეგ აღარა
გსურდათ გადაეკიცა, მაგრამ რომ წაკითხვის
წინად, ამის სურვილი დიდი გემწებოდათ, პა-
ტიონისარ სიტუაცედ მენდეთ). ჩვენმა ჭრიტეკას-
მა ისე შემაჩვიეს ლანძღვა-გინებას, რომ ვიცო-
დი აქაც ამის მეტი არა იქნებოდა-რა. (მაშ ერთ-
გული მეითხველი იქნებით ბ. ზ. ჭი...ის
„წინა-უკანა სიტუაცებისა, სადაც თქვენი გენი-
საბობა საქვეუნოდ გამოცხადებულია) მაგრამ მე-
გობართ მაიძულეს წაკითხვა და გარემოებამ პა-
სუხი... (წერული გარემოება!) თუმცა უნდა კი
ვთქვა, რომ დიდი საბასო არც ეს სადაო სა-
ქმება.“

მასუგან ბ. ანტ. ფურცელაძე გვიწურება
იმის გამომცემელთ გაყიცვისათვის; იმეორებს

კიდევ უცხადია რომ რუსთველის ურუსალი
ხელობა და ეს ხელობა ჭიჭინია შოთა რუსთა
ველის“ (ცხადია რომ ბ. ანტ. ფურცელაძე გე-
ნიოსია, რა კი ზ. ჭიჭინაძე ამას ამტკიცებს).
ულოცვიობას მე რომ მწამებოთ, ბძანებს მასუგან
ბ. ანტ. ფურცელაძე, რატომ თქვენს ლოგიკას
კი არ დააკვირდით. თუ ხელობით მოშაირე
იყო რუსთველი, მაშ როგორდა მიჰყო ხელი
ლექსების წერასათ და ბოლოს კი ეს აზრი გა-
მოჰქმდას, რომ მთელი ეს საქმე ლაპარაკად არა
ჭილირდაო.

შევჩერდეთ, რადგან თავი აღარა მაქვს უ-
ცელ იმ აზრთა(?) გარემოებისა, რომელიც ბ.
ანტ. ფურცელაძეს უალბ მძივსავით აუსხავს
ჩვენის გაზეთის სტრიქონებზე. მერე გამეორება
რა საჭიროა, ან თავს რისთვის ვიწუხებ, რო-
დესაც მკითხველს სიტუა ჩამოვართვი ამ პასუ-
ხის წაკითხვისა. მაშ შევუდგეთ პირდაპირ სა-
ქმება:

წელანაცა ვსთქვი რომ ბ. ფურცელაძე მკვი-
დრად ადგას თავის აზრს და ბძანებს, თუ ბი
ერისთაბა, თმოგველობა, შავთელობა ხელო-
ბას ნიშნავს, რატომ რუსთველობა კი ხელობა
არ იქნებოდაო. ნება მიბოძეთ, მოგახსენოთ ბ.
ზ. ჭი...ის გენისათ, რომ არც ერთი თქვენ-
გან ჩამოთვლილი სიტუა ხელობას არა ნიშ-
ნავს და მამასადამე, ცხრაჯერ მაშასადამე, რუს-
თველობაც ხელობა არ იქნებოდა. ერისთაბა
თანამდებობა იყო და არა ხელობა. ეს აშკარაა
უცელა თვალებ-აზილულისათვის და არ ვიცი
თქვენ განგებ თვალებს რადა ჭიჭინვთ. ან დაუ-
კვირდით მაინც იმ ორი ჭრის აზრს, რომელ-
ნიც „ვეფხვის-ტყაოსნის“, წინასიტუაციაში (ჭი-
ჭინაძის წინასიტუაცია არ გევონოთ) ერთმანეთს
მისდევენ და ასე იწყობან: „მე რუსთველი ხე-
ლობითა ვიქმეს საქმესა ამად არი“... ნუ თუ მაშინ
ეს მაინც აშკარა არ იქნება რომ რუსთველს ვერ
გაუძლია დაფარვა და გამოუცხადებია მის გულ-
ში მწვავად შეჩვეული გრძნობა—სიუვარული
თამარისადმი, მაგრამ თითონვე შემკრთალა,
ცდილა სიტუა გადაკვრას და იმით გაუმართ-
ლებია თავი, რომ მე ხელობით მოშაირემ ეს
ამავი სპარსულივამ ქართულად გადათარგმნი-
ლი, ვორცე და ლაქებად გარდავთქვი და ჩემმა
ხელ-მქნელმა დამმართოს, ლალმა და ლამაზ-

გა ნებიო.. ეს ადგილი შესანიშნავია „ვეფხვის-ტუასანის“ ისტორიისათვის. აშკარაა, შინაარსის სპარსულიიდამ გადმოთარებისაც რესთველს იმი-ტომ შეუთხზავს, რომ ორის სტრიქონის წინად წამომცდარი სიტუა გაექარტყლებინა და არა-ვისთვის ან მიეცა საბუთი ეთქვათ, „ვეფხვის-ტუასანში“ თავისი და თამარის სიუვარული ასწერაო. ხელობით მოშაირობაზე, ან ხელობით პოეტობაზედ სიტუაის ჩამოვდებასაც იმაზე მე-ტი მნიშვნელობა არა აქვთ-რა.

ძველებური თქმულება: „იუპიტერო, შენ-სწურები, მაშასადამე სტუუ“ შეიძლება ბ. ანტ. ფურცელაძეს მივაწეროთ. ჩემთა უბრალო, თი-თქმის უმანკო შენიშვნამ ისე გააწიწმატა ბ. ფუ რცელაძე, რომ მოიწადინა, რაც უნდა მოხდენო-და, ულოგიკობაში დავეჭირე და აი დამიჭირა კიდეც. „თუ ხელობით მოშაირე იყო, მაშ როგორ-და მიჰყო ხელიო?“ ბანებს ბ. ფურცე-ლაძე; დად, სწორედ ასე ბანებს, ამ სიტუა ბით და ამ ნიშნებით. ე. ი. თუ ხელობით ვარ რამე, ამავ საქმეს ხელს ვერ მივჰეთვი: თუ ხე-ლობით დურგალი ვარ, სახლის აშენებას ხელს ვერ მივჰეთვი. თუ ხელობით მოლექსე ვარ, ლექსების წერას ხელს ვერ მიჰვეთვი; თუ დამტა-სებელი ვარ, ადგილ-მამულის დაფასებას ხელს ვერ მივჰეთვი? გარა, ბ. ფურცელაძე? ასე გამო-დის თქვენის ლოგიკით და ჩემის ულოგი-კბით!!

კვლავ გირჩევთ, ბ. ფურცელაძე, როცა თქვენზედ დაწერილს „მოგაჩერებენ“ და მევო-ბრები გაიძულებენ წაგითხვას და გარემოება პა-სუხს, დინჯად და მოტიქრებით უგოთ ხოლმე ეს პასუხი (თუ კი იკადრებო), თორემ შესაძლოა ბულვარ-ტკეპნიებისაგან დადგმული შარავანდე-დი თვით ბ. ჭ..აც ადარ იწამოს.

იციება და ერთს უცვილს ვეღარა ნახავთ და ფრთხოებისა ან სუნით დაგვატებოს, ან ფეროვნებით. ნიჭიერები დაჩუმდენ და ბაზარი მხოლოდ ზ. ჭ...თანა გამომცემლებს-და დარჩენიათ. ეძებ ამ ფირფიტას სიმსრო წიგნებში საზღვას ჭკუის ან კეთილ-გე-მოვნებისას და გულს სიამე ეფინება, როდესაც რომელიმე ასე თუ ისე ცნობილი ლიტერატო-რის სახელს შეხვდები. და როცა შინ მოხვალ და ჰერთულობ, რწმუნდები, რომ „ცნობილ ლიტერატორის“ წვრილმანი თავმოუვარება-მეტი ჰქონია, ვიდრე უცელა ცნობილ და უცნო ბო ლიტერატორებისათვის საჭირო ცოდნა და განვითარება.

სამწუხაროა, რომ ჩვენს ლიტერატურას ცხველს-მულფელი ძალა აკლდეს; სამწუხაროა რომ ბ. ანტ. ფურცელაძე ანტი-კრიტიკოსობდეს და ბ. ჭ.. ძე გენიოსობის ტიტულებს არი-გებდეს; სამწუხაროა რომ არ წმინდა ხელი წმინდა საქმეს ხელსა ჰერთულობეს; სამწუხაროა რომ... მაგრამ რა არ არის სამწუხარო, თუნდა ის, რომ ერთა შენ გული სხვაზე გეღღრინება, ჩემი საუვარელო მკითხველო და მე ვინ-იცის რაზე არ უნდა გელაპარაკო. მაგრამ რასა იქ, მახლის... თქვა ერთმა ჭებიანმა კაცება და რამდენიმე წერ-ტილი დაუსვა. ჩვენც ეს წერილი წერტილებით გავათავოთ.

ოსიოდე სიტუა თეატრის ავ. ვაჟა-ფშავეგი.

Да будетъ сцена тѣмъ, чѣмъ нѣкогда была:—
Святимищемъ. Трагедія для насъ,
Должна быть темнѣмъ зеркаломъ, въ которомъ
Народъ узрѣти бы вѣчные законы....
Да никогда не будетъ здѣсь жрецомъ,
Кто самъ пренебрегалъ когда нибудь
Путями Божиими, и собственнымъ дѣламъ
Не зналъ ни мѣры, ни оцѣнки вѣрной.
Тотъ толко жрецъ, кто съ дѣлами чистымъ
Способенъ взвѣстить вси дѣла людскія...

Гейбелъ

...Полетомъ мысли смилимы
Въ иной прекрасный міръ толпу увлекъ театръ
Среди „бойцовъ быыхъ“, и въ сердце очерствѣломъ
На міръ онъ пробудилъ мечты минувшихъ лѣтъ.
Сунбернъ

ეს გრძელი სიტუა იმიტომ ამოვწერეთ, რომ ამ ზემოყვანილი სტრიქონებში ნათლად იხატება ის,

ბოლოს ერთს რასმე ვიკითხავთ ჭიდევ: თუ კი, როგორც ბრძანებთ, ეს ამბავი ლაპარაკად არა ღირდა, რადად გააჭრელეთ თქვენი წილა-დობილა და რადად ამოართვით სული ამწყო-ბებსაც და მკითხველებსაც? შეიძლება ესევე მკი-თხონ მე, მაგრამ მე პასუხი მზადა მაქვს. ჩემის აზრით ეს ამბავი თუმცა საპირეზედ სასაცილოა, მაგრამ სარჩევლად მწარე ცრემლები უდევს. ან როგორ არ ვიტიროთ, როდესაც ჩვენის ლი-ტერატურის მდელო დავარძლიანი ბალანით

რაზედაც ჩვენ ლაპარაკი გვსურს. ბეჭრი უთქვამთ — უწერით, ბეჭრს მშობენ — სწერენ და უფრო ბეჭრსაც იტყვიან თეატრის მნიშვნელობაზე და მოქმედნი — დამწერნი მართალნი ყოფილან, არიან და იქ-მნებიან კიდეცა.

ვინ არ იცის, რა საოცარი ზედ-მოქმედება, რა დიდი მნიშვნელობა, რა შეუფერხებელი გავლენა აქვს საზოგადოდ მთელს კაცობრიობაზე და კერძოთ ცალკე ეროვნებაზე პოეზიას და ხელოვნებას?. ისე რა ზრდის და ასაზრდოებს აღამიანის და საზოგადოების სულიერს მოთხოვნილებას, ისე რა ამაღლებს და აცხოველებს კაცს, როგორც პოეზია და ხელოვნება? ეს ორი საუნჯე, განსაკუთრებითი კუთვნილება მეტ-ყველთა, ერთობ ღვთიურის ნაპერცალით ათბობენ და ზეციურის სხივით ანათებენ აღამიანის ბნელს და მოკლე სიცოცხლეს, მისი სიმწარით და ნაღველით საქსე ცხოვრებას... ეისაც ეს არ სჯერა იგი მახინჯა!

თუ პოეზია და ხელოვნება ასეთი ძლიერი მომქმედი არიან ეროვნობის დღეგრძელობისა, მაშ რა-ლა უნდა იყოს თეატრი, ეგ ყოველგვარის ხელოვნების გვირგვინი? ჩვენ ისეთი ძლიერი და სრული მომქმედი აღამიანის აღზრდა-განათლებისა არა ვიცით-რა, როგორც თეატრი, როგორც სასცენო — დრამა-ტული ხელოვნება.

თეატრში, სცენაზედ თაქს ერთად იყრიან ყველა ხელოვნებანი: პოეზია, ლიტერატურა, მუსიკა, არხიტექტურა, მხატვრობა, სცენლატურა. აი ის ხუთი მომქმედი ძალა, ხუთი ლომ-დევნი, რომელნიც შეადგენენ ერთს სხეულს, ერთს კერძო ქვეყანას — თეატრს.

თეატრში სცენიდამ ჰულადებენ ყველა ნათელ-ცხოველ აზრებს, სცენიდამ ჰემირამენ ბიწიერებას, სცენიდამ ჰთრგუნამენ ბოროტს, სიმდაბლეს.

დრამა ხელოვნური ცხოვრებაა და ამ დრამის უკიდურესი წერტილები: ტრალედია და კომედია ალეკარლოვანებს ხალხის სიბნელით ძლევა მოსილ გონებას, არბილებს მის გაკერპებულს გრძნობებს, გაქვავებულს გულს.

როდესაც სცენაზედ ორი-სამი საათის განმავლობაში მაყურებელთ თეალწინ ფართოდ და ნათლად იშლება რომელიმე გამოჩენილ ნაწარმოების სიმდიდრე, როდესაც სცენაზედ სახიერად მიმოძრაობენ კუკა და ზნეობა, როდესაც ხელოვნური წარმოდგენის ცხრილის გრძნობას, როდესაც ხელოვნური წარმოდგენისაგან აღგზენებული და მედგრად გამოწვეული სულის და გულის თქმით, აღლებულ წყალსაც, ჩემხმეტობენ აღამიანის «მე»-ში, როდესაც გრძნობა შიშისა და შესაზრისა, როდესაც გრძნობა სიმხიარუ-

ლისა და თავდაუკერელის სიცილისურულობებისა გრძნობა დიალობისა და თავ-განწირულობისა მაყურებელზედ ჰექა-ქუხილივით რიგ-რიგად ზედ-მოქმედობენ, როდესაც ამ ურიცხვი გრძნობათაგან წარმოელინებული ცხოველ-ნათელი აზრები ათას ნაირს კითხვებს აღვიძებენ აღამიანის გონებაში და ათას ნაირადვე აყდერებენ მისი გულის სიმებს, მაშინ, უშიშრად შეგვიძლიან ესთქვათ, კერძოდ ყოველი კაცი და საზოგადოთ მთელი ხალხი, მთელი ეროვნება წარმატების გზას ადგია და მაშასადამე მისი სვე-ბედი, დღეგრძელობა და მომაჟალი ცოტად თუ ბევრად მის ხელთ არის.

ღიახ, ჩვენ დიდს მნიშვნელობას ვაძლევთ თეატრს, და ვინც თეატრს უყვრებს როგორც დროგასატარიბელ კლუბს და საქეიფო ყავახანას, იმას ცხოვრებაში წილად ქალაზუნობა რეგბია.

უთეატროდ ვის ეცოდინებოდა შექსპირი, შილ-ლერი, მოლიერი, გერე, ბომარშე, კალდერონი, ლესსინგი, კორნელი, რასინი, ლოპოდევეგა და სხვა გამოჩენილ დრამატურლთა არსებობა? მხოლოდ თეატრის წყალობით მრავალი წარჩინებულ მწერალთა და გენისთა აზრები, მათი იდეალები, ზეობრივი ლტოლევილებანი და დიადი სურვილები ხალხის უმრავლესობისათვის გასაგებია, ადეილი შესაგნებია.

მართალია, წიგნი და განათლება ბერძის აძლევს საშუალობას უთეატროდაც გაიზიაროს დრამატიული მწერლობა, მაგრამ ნუ თუ ასის, ათასის და თუნდაც ათი ათასის ცოდნა, საერთო — საქვეყნო ცოდნას და განათლებას შეადგენს? ხალხის, ეროვნობის განათლება და მისი დღეგრძელობა გამოიხატება საერთო განვითარებით, იმ საგნის საერთო სარგებლობით, რომელიც მხოლოდ რამდენისამე პირის საკუთრებებას შეადგენს. ესეც რომ არ იყოს, განათლების წარმოდგენის დრამატიული ნაწარმოები და სცენაზედ ნახული ერთი და იგივეა? სცენის საპატიო მნიშვნელობა და მრავალ-მხროვანი უპირატესობა კიდეც იმაში მდგომარეობს, რომ მაყურებელი ყოველისუებს ჰქონდას ნათლად და სახიერად. ერთის სიტუაცით წარმოდგენის დროს აღამიანის უმთავრესი ორგანობი დამოუკიდებელს მონაწილეობას ღებულობენ იმ შთაბეჭდილებაში, რომელსაც აძლევს მათ სცენა, ხელოვნური წარმოდგენა ხელოვნურის ცხოვრებისა. ცხრილ მაყურებელი სრულს დაგენწყებაში შედის: მას ავიწყდება ყოველისფერი დედამიწაზედ, იგი სცენა ხლებს იმ ცხოვრებით, რომელსაც სცენაზედ არდევნენ; იგი სუნთქმას იმ ჰაერით, რომელიც პიესაში ტრიალებს, ჰარმონის და იტანჯება იმ სიხარუ-

ლით და ტანჯვით, რომელსაც სცენაზედ არდგენენ. თეატრისთანა სრული ილლიუზის მოცემა არც ერთს ხელოვნებას არ შეუძლიან და მიტომაც ვამბობთ, რომ თეატრისთანა ძლიერი მომქმედი არა არის-რა.

თეატრი რომ არ ყოფილიყო კაცობრიობის ის-ტორიაში ისეთს სიბრუნვით და უმეცრებით ძლევა მოსილს ფურცლებს შევხდებოდით, რომლის განათლება შეუძლებელი იქნებოდა. ყველა ის ცხოველ-ნათელი, ჰუმანიური და საგანგებო აზრებთა გროვა, რომლით დღეს კაცობრიობა სარგებლობს, უთეატროთ უდრამატიულ ხელოვნებოთ სრულიად გაუგებარი და-რჩებოდა გაუნათლებელი ხალხისათვის, მეტადრე მათვის, რომელნიც მთელს თავიანთ სიცოცხლეს განუწყვეტლივ ჯაფაში და დღიურის სარჩეოს ძებნაში ატარებენ და მაშასადამე შეადგენენ იმ უმრავლესობას, რომელსაც ეწოდების «მუშა ხალხი». ვერც ერთი შესანიშნავი და სასახლეგებლო წიგნი, ვერც ერთი უმჭერ-მეტყველესი სატყვა საზოგადო მოღვაწისა ვერ მისცმდა ხალხს იმას, რასაც აძლევს მას თეატრი, რასაც აძლევს მას სასცენო — დრამატიული ხელოვნება!

თეატრში ხალხი პოულობს და თანაც ისაკუთ-რებს ჭყავ-ზნეობას, სულ-გრძელობას, გულ-უხეობას.... საკმარისია დაასახელოს კაცმა ის ადგილები, სადაც ხალხი უმეტესად ატარებს თავის თავისუფალს დროს, სადაც იგი ექებს სიამოგნებას და სადაც პოულობს კიდევაც, რომ შეუცდომლად-გადაჭრით აიწონოს და და-იფასოს იმ ხალხის, იმ ერთენების გონებრივი და ზნეობრივი საწყაო, და არამც თუ მარტო დაიფასოს ხალხის აწ-მყო ეინაობა, არამედ შესაძლებელია კაცმა უწინასწარმეტყველოს კიდევ ხალხს მისი მომავალი თვისის ავ-კარგიანობით მისის შედეგით. ვიმეორებთ, თეატრს დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხთა, ერთოვებათა განეთარებაში, მათი ზნეობრივის ძალ-ლონის გაორკუებაში, ხოლო ერთის პირობით. თეატრი მაშინ ასრულებს თავის მიღალს დანიშნულებას, მაშინ აღ-წევს თავის დიდს საგანს და საპატიო განზრახეას, როდესაც თეატრი ხალხით-მაყურებლით გაჭვილია. ამისათვის კი საჭიროა, რომ თეატრი ხალხს მაყურებელს იზიდავდეს. მაგრამ რა ღონის ძიებით, რა საშუალებით მიიჩიდოს თეატრმა მაყურებლები? ამის პასუხი ადვილია: თეატრმა უნდა გადიქცეს მოუხოვ-ნილებად, როგორც პური და წყალი, როგორც ჰა-რი. მაგრამ აქ მეორე კითხვა წარმოსდგება: როგორ უნდა გადიქცეს თეატრი ისეთი აუცილებელი მოთ-

ხოენილებათ, რომ ჰაერს შეედაროს? არც ამის პასუხი ხია მნელი. ყოველს მოთხოვნილებას, ყოველს ჰა-წიროებას თავდა პირველად საწყაოდ უნდა ჰქონდეს გემოვნების, ჰერძნობა და ამ გრძნობის დაფასება, ან უკეთ რომ ესთქვათ, კაცმა უნდა იცოდეს ფასი იმ გემოვნებისა რომელსაც ღებულობს იგი; ყველი იქ-ნება ის თუ პური, ღეინო შარბათი თეატრი თუ სხვა რამ გასართობი, შესაქცევი რამე — ხოლო ფასი მაშინ აქვს საგანს, როდესაც ყოველიყვა ის, რასაც თხოულობს კაცი, კარგი და მოსაწონია. თეატრის ვარგისობა მდგომარეობს იმაში, რომ წარმოლგენები ჯეროვა-ნად იმართებოდეს, პიესები საუცხოვო და არტის-ტების თამაშობა ხელოვნური იყვნეს, ერთის სიტყვით თეატრი უნდა იყვნეს მოსაწონი და მხოლოდ ამ შემ-თხვევაში თეატრს დაედება ფასი, გარდაიქცევა მოთ-ხოვნილებად.

თეატრი არის ტაძარი ხელოვნებისა და არა მარტო ერთის რამე ხელოვნებისა, არამედ ყველასი ერთად. თეატრში თავს იყრის ხალხის ძლიერება, ნიჭი, დიადობა და მრავალი სხვა თეისებანი ერთენე-ბისა. ამიტომაც თეატრის მსახურნი, ან როგორც ამბობენ, მელპომენის ქურუმები, უთუოთ უნდა იყვ-ნენ ნიკიერნი, განვითარებული და ამასთან ნამდვი-ლი შრომის მოყვარენი — დაუღალაენი მუშანი, რომ შემომით ამ მძიმე საქმეს წინ ეწეოდენ, რომ ნიჭით ხე-ლოვნების სულს უდგამდენ, გონების ნაყოფს ხალხი-სას ფრთებს ასხამდენ.

როგორც წინეთ თქვით თეატრი ფრიად სასარ-გებლო მოგონილება ადამიანის მეცადნებისა, მაგრამ ამასთან არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ რაო-დენადაც თეატრს და სასცენო ხელოვნებას სარგე-ბლობის მოტანა შეუძლიან ხალხისათვის, იმდენადაც სხვა შემთხვევაში და მიმართულებაში, შესაძლოა დიდი ზარალი მისცეს ხალხის ზნეობრივს სიმრთ-ლეს, მისი გონების საგანძეს: სცენა მანებელია მა-შინ, როდესაც იმის მაგიერ რომ ბიწიერება და სი-ბოროტე სოელოს და ჰემიოს, იგი ელაქუსუნება ბორიოტებას, ჰერავს სიყალებს; როდესაც თეატრი ისეთის სამოსელით და სამკაულით ირთვება, რომე-ლიც სელს უწყობს პირუტყულს ინსტინკტებს, რო-დესაც გარევნილობას და მრუშობას აზერდებს; სცე-ნა საწამლავია ხალხისთვის, როდესაც იგი ართობს და ანაზებს საზოგადოების სამარტინო ჩვეულებათ; თეატრი ამანიჯებს ხალხის გონებას, აჩლუნგებს მისი კუუის სიმახვილეს, როდესაც ცხოველ-ნათელის აზრების მაგიერ, სცენიდამ გაისმის გაცემთილი რხუნ-ჯობა, მტკნარი აზრების შხაპა-შხუპი; სცენა ჰყრენის

ხალხის ზნეობას, როდესაც წრფელის და პატიოსანის გრძნობათ მაგირ, სიცრუეეს და სიმუხტლეს რჩება სცენაზედ ბურთი და მოედანი; ხალხის დღეგრძელობა შეუა გზაზედ სხერდება და ხშირად უკანაც იწევს, როდესაც ნიჭის და შრომის მაგირ, თეატრში ბინას იმკვიდრებს სიზარზმაც და უნიკობა.

კველა ამ ზემო თქმულის სენის ასაცდენლად საჭიროა, რომ თეატრის დროშა ხელთ ეყრას ყოველისფრით განვითარებულს და სანდო პირს, საჭიროა რომ თეატრის ლამპარი დაუშრეტელად ენთოს იმ კაცის ხელში, რომელიც გამსჭვალულია სიყვარულით საზოგადო საჭმისადმი; საჭიროა აგრეთვე რომ პიესები, დრამატიული თხზულებანი მდიდარნი იყვნენ შინათაგანის სიმართლით, ნათელის და ცხოველის დედა-აზრით, და ყოველის ფრით უხვნი და შვენიერნი გარეგნულის შემუშავებით; საჭიროა რომ არტისტები ღირსნი იყვნენ თავიანთი მოვალეობისა: ნიჭიერნი და შრომის მოსიყვარულენი — ამ შემთხვევაში, და მხოლოდ მაშინ, თეატრი შეასრულებს თავის დანიშნულებას, მხოლოდ მაშინ გამართლდება ის მნიშვნელოვანი ფრაზა რომ “თეატრი სტრაზა”.

ამიტომ ისინი, ვისიც ჯერი არს იზრუნონ ჩვენის თეატრის დაწინაურებაზე, მოიკრიფონ ყოველივე თვი სი ღონის ძება, ეცალონ ყოველის სულის სახსარით, რომ თეატრს — ამ ამღარდელ-განმნათებელს მოქმედს ხალხისას — ხელი გაუმართონ, ზეზე წამოაყენონ. თეატრის დაყენება ჯეროვნ გზაზედ არც ისე ძნელია, როგორც ზოგიერთებს ჰგონით. თუ მოგიგონებთ, რომ თეატრი ერთი და იმავე დროს გასართობიც არის და სკოლაც, მაშინ აშკარად დავრწმუნდებით რომ მისი აღორძინება მეტად ადვილია. — და თულეს თეატრი ცარიელია და საზოგადობა ერთებში ორთა ჭალებში და სხვა-და-სხვა კლუბებში მწერე სტოლების გარშემო ატარებს დროებას, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ საზოგადოება გულ-გრილად ექცევდეს თეატრს, ან არ ესმოდეს მისი მნიშვენელობა, არამედ იმას-რომ თეატრი საზოგადოების მოთხოვნილებას არ აქმართოლებს, არა ძლევს იმას, რასაც იგი თხოულობს თეატრისაგან....

ამისთანა დროს, რა დროშიაც ეხლა ჩვენა ვართ, თეატრის და წარმოლევნის მსურველნი ერთი-ორად უნდა მოიპოვებოდეს, რადგან ამ სრულს მყუდროებაში აღამიანი მხოლოდ თეატრში ეძებს იმას, რაც მის გარეშემო არ არის: ესე იგი, სიცოცხლეს, ცხოველს მოძრაობას, იმედებს, იდეალებს, გულის თქმის პასუხებს...

ვალივო — ია.

სელიოზნური პედაგი

ჩიტი

ნეტავი ჩიტსა ბენდიერს
დაჭირინამს თავისუფლათა;
ამ სოფლის სეჭა ნალევი
მას არ აწესებს სრულათა!

ჭეუანა თვისი ჰერნია,
ათას-ფრად აღუავებული,
ნაშრომსა ქაცის ღოღლითა
დაჭურებს გახარებული.
რა გათხნდება დილა
დაჭირენს, დამღრის სტენითა
და დღიურს საზღვრ—საჭნენსა
კეულგან შოულობს მდერითა,
მაგრამ ქაცი გი უძედო
ამაქტს მოქლებულით—
და თითქოს ჭეუნის ტანჯვისთვინ
გზა—ხიდად გაძებულია!

ნეტავი ჩიტსა ბენდიერს,
ფრენი არ იცის სრულათა
და არ ღამის ჭეუანას;
დაჭირინამს თავისუდათა!

ვ... ა—ძე-

სურათი

შემთხვევა ბისდა. ვარსკელავნა
ამოციმციმდნებ ცაზედა,
ჭეულგან დამგვირდდა სიჩუქე
მინდვრად, ბარად და მთაზედა.
კამაძებს, მოჭკოთის, მოქადამს
მრავალფრად ლაჟვარდოსანი—
და გულ საკედავად შეჭკალის
ჭემოთვან ღამის მგრასნაი—
აგერ დაიწეუს ღამილაპი
შავ-გლდანვან მთასა თაქმაში,
სხივი ჩაშვენენ უფსერლში,
შრიალი შექნეს ფოთლებმა;
მთას იქით ბადრი მთავარე
აღმოხდა, შეითამაშა,
ზღუდეთ მოჭვინა ნათელი,
კარსკელავნა აათამშა....

ზაფლი.

უბრალო ჭეშმარიტებანი

კატეპატი მთელს წელს გასჩხსავის,
ბუღბუღი კა სამს თექს გალობს,—
უვას კატეპატის «გალობა» ჰქონს,
ჩხივი, „ბუღბუღობას” დამის.

როს სის თანგასჯაც არ მოსდევს,
კმსგასების ცომი პუსა:
მარტო დიტონი სიტყვია
კუ განეცერენ გულის წელება.
კრიგი სიტყვა აღარ კარგობს
როს თვის ადგილს არ სოქმინ მას —
გემო ისე ეპარგება,
კით უფრენზე ღვინის სძისა.
ახლად გაშინ კეგი ჭრი,
ნუ ენდობი მის წაცსელს —
ბარომეტრის თვისება ჰქინს
გაცის ური სულს და გულს

დ. გასამიშელი.

რუსთველის რუსთველობაზე

ჩემმა მეგობრებმა ამ ღლებში მომახენეს სელში თეატრის 32 №, სადაც იყო რაგდენიმე სიტყვა შესახებ ჩემი ბრალშეურისა, „რუსთველი და იმის ცოდნა”. მე, სწორე მოგასხენო, არამც თუ პასესი ამ შენაშენისა, თვით წაკითხვაც არ მსურდა. ჩემმა კრიტიკოსებმა ისე შემჩენის დანდგა-განებას, რომ კაცოდი აქა იმის მეტი არა იქნებოდა რა. მაგრამ, მეგობრო მამელებს წაკითხვა და გარემოება—პასესი. გამოდგა, რომ ის აზრი, რამც ისრე უწალოდ ააღდევა და გადანაბეჭინა ჩვენა თავი ბატონს კრიტიკას, სხვაგან, უფრო ცხონბის პირებშიც, დამკიდრებული უოფილა. მიზეზი ეს არის, რომ კვიდებ კადამს ხელს ამ პასესის საწერად, თუმცა უნდა კი კოჭა, რომ დიდი საბასო არც ეს სადა საქმეა.

სხვათა შორის, მე ამ, ზემოდესენებული ძელი ამის შესაფალში კამბობ, რომ, ორგორცა სხას რუსთველისე სიტყვით, რუსთველობა ხელობა უოფილა და ეს ხელობა რუსთველს სტერია მეტობის მეტობის საწერად, რომ ეს აზრი თავიდან ბოლომდის სულ მეტად უნდობა: რა არის აქ ასაღელებული? რა არის აქ

ისრეთი, რომ გაცს, რამელსაც ამის თქმით მარტობის ცუდი არა ერთ რა გულში, გარდა სიმართლის გამოკვლევისა, მიჩვი პირი და რაც ეპადრებოდეს და არ ეპადრებოდეს სულ ზედ მაცულო. კრიტიკის მოქადაგება ჩემი თნულებიდან ის აღგილი, სადაც მე კამბობ რუსთველობის ხელობაზედ, და მემდგომ ამბობს „თხელი გარებულის ნიშანი კურ გამოსთვისძილს იმსა, რაც მე გაგრძენ ამ ტირადის წაკითხვის შემდგომ. „ეს რა ამბავია? მინდოდა მეტითხოვა ბ. ფურცელაძისათვის, მაგრამ დარწმუნებული კარ ამსავ იყითხეს თეთო ბ. ფურცელაძე, როდესაც თავის ბროშურას წაიკითხავს. საქმე ის არის, რომ ეს ლეგენდა აკრიტიკის ამ ოცის წლის წინად, ესე იგი მაშინ, როცა ბ. ფურცელი. ნაწარმოებთ კურ ჭრებინ ეჭირებულდათ „ცისკარში“ ჰქონდა დებრედილი და ეხლა აღსათ რომელსამე ერთგულს მეგობარს გამოუშებნად და საუკრძალზე ცალკე დაუბეჭდია. ტუშა-ლად კი არ არის ნათებამი: ჰქება თხელი მეცობარი მტერზედ უფრო საშიშია. სხვა ფრივ შერა გზით და მერა საშეაღებით კურ ამისსანა ესრეთი მასხარად აგდება ლოგიკისაც, ენისაც, და ლიტერატურისაც“. სიტყვით, რომ წაკითხებული არა გქონდეს თაქში, რაზედაც არის ასრე განრისებული ბ. კრიტიკისა, გეგონება ბ. ფურცელის ასეთი რამ ცოდვა ჩაუდენა, რომ ამათი თუ შემნიერებას არა, ბენეს სალს მაიც უბედულება მოედნისო. აქ, არამც თუ არა ჭროგამენ შენს პიროვნებას, ჭრონდამენ შენს მეგობრებსაც და ერთოც-ლა აკლდა რობენ ცოდნულის, ნათებავის და მეზობლებსაც. აქ სწორე მაგონდება ფილოსოფიას შესწავლა, მოლიდერის კომედიაში „ძალათ ცოდის შერთვა“, სადაც საშენებლი აღელებულია შენებისი, ლანდლაგის თავის მეგობარს, სხვა ფილოსოფიის მიმდევარს და გაიძახის: ნუ თუ ჭრადდებს ცად მიძრო უმეცრებად იგი, რომელი იტევის ფორმათ ქუდისათ!! ა უშეცრებაგ, ა უშეცრებაგ!! უნდა ითქმოდეს ფიგურა და არა ფორმა ქუდისა! სწორე შეცდი და რუსთველს ის კი არ უნდა ეთება, რომ ხელობით რუსთველი კარ, არამედ იმას ამბობს, როგორცა სხის კრიტიკისა, რომ სელობით მოშაორეა. ამისთვის ან მე რადა კარ დატერატურისა, ლოგიკისა და ენის მასხარად ამგდება (ესე იგი უწევით), ან ჩემი მეგობრები რათ არან გივები და ჰქება თხელები. ნუ თუ რომ დაკამტიკოცო, რომ რუსთველი არ ამბობს იმასა, რომ მე ხელობით მოშაორე კარ, მაშინ ამ ეპადრების თვისების გამომსახულად ჩასთველის ბატონი კრიტიკისათვის თავისი თავის და თავის მეგობრებს?... თვითო ამისთვის შეცდომაზედ რომ ჩვენცა და ჩვენა მეგობრებიც უტევინობა და ჰქება თხელები გაუქნეთ, კადა

დარჩა, არამდე თუ ჩვენს მწერლობაში და სხვაგანაც ტეინიანი და ჭეკა სრულდა?

გადავიდენ საქმეზედ.

ბატონი კრიტიკისი ამბობს, რომ ამ სიტყვებით: „მე რესთველი ხელობითა ვიქმ საქმეს ამად არი“, რესთველი იმას კი არ ამბობს, რომ მე ხელობით რესთველი კართ, არამედ იმას ამბობსო, რომ: „მე რესთველი მარტა, მოგვავ ხელი ღემსების წერასათ“. ჯერ ბატონი კრიტიკისო, როდესაც ისრე უწყლოდ ჰქონდავთ სხვის ლოგიკას, რატომ არ დაასრულდთ თქვენს ლოგიკას. თუ ხელობით მოშაირე იყო, მაში როგორ-და მიჰეთ ხელი? ჩვენში ჯერ საქმეს ხელს მიჰეთვენ, მემრე საქმეს ხელობათა ხდიან. მაგრამ ეს არაფერო. გათხავთ თქვენა, ამ თქვენგანითვე მოვაწნიდს სიტყვებით: „მე რესთველი ხელებითა ვიქმ საქმეს ამადარი“, სად არის სხენება იმისი, რომ, ხელებით მოშაირემ მივყავ ხელი ლექსების წერასათ. ეს თქვენი რესთველის სიტყვების თქვენებურად წაგითხვა არ გაგონებთ უსტენსეკის ერთი თესტაჲნო საღამოთა-საგან გაზეთის გოლოსის წაგითხვას. იმას მისცეს რომ წაგითხა „გოლიც“. იმან ჩათვალა-ჩათვალა ასოები, და ბოლოს ამოივთხა გულა. კუთხით არ გადასახა ამ სტრიქონში, ან სხვაგან სადმე ამ შესავალში არის, რომ: მე ხელობით მოშაირემ მივყავ ლექ-სების წერას ხელიო?.. ჩემს ასხნაში კი ღოღივისაც, ენისაცა და ღიტერატურისაცა მასხარად გდებაა, თქვენი გოლოსის მაგირათ გუზეტას ამოვითხვაში ღოღი პატივი და ღიღებაა ენისა, ღოღივისა და ღიტერატურისა?

მაგრამ, რომ უფრო ცხადდ ავსნენ ჩემი აზრი შესახებ იმისა, რომ რესთველი რესთველობას ხელობათა სივლის, დავიწებ ცოტა შორიდამ.

რესთველი შესავალში, სადაც ამბობს: „მე რესთველი ხელობითათ“... დაპარაკობს ჯერ რამდენიმე ხანი ღვთის ქანაზედ, შეძლებ რამდენიმე ხანის უძღვნის თამარის შესხმის, მასუებს გადადის ერთს ხანაში ტარიელზედ, ამას იქით მერე ხანიდან დაწყობილი მეოურამეტე ხანაში დაპარაკობს მიჯნურობაზედ და თავის გამიჯნურებაზედ; ამას უქნ გადადის მოშაირობას და მოშაირებზედ. იმ ხანაში, სადაც მიჯნურობას და თავის გამიჯნურებას დაპარაკობს აქს, სწორედ აქ ამბობს: «მე რესთველი ხელობითა ვიქმ საქმეს ამად არი, კის მორჩილებს ჯარი სპათა მისთვის კენელობ მისთვის მკვდარი, — ეს სიტყვა ხელობითა ან უნდა მიეწროს სიტყვას რესთველი, ან იმის მიჯნურობას იმ პირთან, რომლისგანაც თხოვდობს, რომ ან განკურება მისცეს ან მიწა სამარი“. (*) ცხადია, რომ აქ რესთველი ამბობს, თავის მიჯნურობაზედ და სრულიდ სხეს არაფერსზედ. რომ ამბობს: მე რესთველი ხელობითა ვიქმ საქმეს ამად არი, კის მორჩილებს ჯარი სპათა მისთვის კენელობ მისთვის მკვდარი, — ეს სიტყვა ხელობითა ან უნდა მიეწროს სიტყვას რესთველი, ან იმის მიჯნურობას იმ პირთან, რომლისგანაც თხოვდობს, რომ ან განკურება მისცეს ან მიწა სამარი. თუ მიეწროთ მი ბოლოს აზრს, მაშინ აი რა გამოდის: ჩემი ხელობა თამარის მიჯნურობაა. ახლა მე პირთხავ, კინ ჩემს აზრს არ ადგია იმათ: რომელი

მოდა რესთველის თავის მოშაირობაზედ უაშე ჭაჭატებული არ იტულდა. აქ აქეს ლაპარაკო მიჯნურობაზედ და და-შარაკობს ამაზედ. იმას რომ იმის თქმა ნდომებოდა, რესაც კრიტიკისი ბრძნების, ან როგორც სხვათა ჰირ-ნიათ, ის ამ შესველის ბოლოში, იტულდა სადაც ის ლაპარაკობს მოშაირებზედ და იმათში თავის თავზედ ამბობს: „ჩემი აწ სცანით უოველმან, მას გაქნა, ვინც მიქია... მისი სახელი შებრევებით ჰქემორე მითქმას მიქია“. მაგრამ რესთველი არც აქ, სადაც ადგილი იყო, არც იქ, სადაც ადგილი არ იყო, არ ამბობს არაფერს, რომ ის ხელობით მოშაირე და მიჰყო ლექსების წე-რის ხელი. ის თავის მეღებსობაზედ ამბობს სუდ ბო-ლოში, როდესაც ათავის თხზულებას, ისიც იმიტომ გი არ გაიგეთ მოშაირე კარო, ან ამას კი არ ამბობს რომ ჩემი ხელობა მოშაირობაო და ლექსებს ხელი მიუყავიო; იმიტომ ამბობს, რომ დარჩეს წნობა ვისი დაწერილია თხზულება, როგორც ეხლა ჩემი ვაწერთ ბოლოზედ ან თავში თავის საწერების ჩემს სახელისა და გვარისა. რაგა აქ, სწორეთ თავის ადგილის აქს მოხსე-ნებული: „ვსწერ ვინმე მესხი მეღებს მე რესთველისა დაბისა“ ვგონებ ქედე საქმაო იყო და არ მოჰკუმებოდა თასგან განმეორებასა, რომ გაიგეთ მეღებს ვარო. ას-ლა გადავიდეთ თვით იმ ხანის განხევაზედ, საღამაც მე გა-მოძებას, რომ რესთველი ემანის თავის თავს ხელობით რესთველს. როგორც ზემოთაც იყო სათქმამი, რეს-თველის ეს ხანა აქს იმ ადგილებს შეა მოუკანილი, სა-დაც ის დაპარაკობს მიჯნურებასა და თავის გამიჯნურე-ბაზედ. აი რას ამბობს აქა. „მე რესთველი ხელობი-თა ვიქმ საქმეს ამად არი. კის მორჩილების ჯარი სპათა, მისთვის კენელობ, მითვის მკვდარი. დაკუმლუ-ლი მიჯნურობათვის, კელავ წამდებ ასაიდ არი, ასე მო-ცეს განკურება, ანუ მიწა მე სამარი“. (*) ცხადია, რომ აქ რესთველი ამბობს, თავის მიჯნურობაზედ და სრულიდ სხეს არაფერსზედ. რომ ამბობს: მე რესთვე-ლი ხელობითა ვიქმ საქმეს ამად არი, კის მორჩილებს ჯარი სპათა მისთვის კენელობ მისთვის მკვდარი, — ეს სიტყვა ხელობითა ან უნდა მიეწროს სიტყვას რეს-თველი, ან იმის მიჯნურობას იმ პირთან, რომლისგა-ნაც თხოვდობს, რომ ან განკურება მისცეს ან მიწა სამარი. თუ მიეწროთ მი ბოლოს აზრს, მაშინ აი რა გამოდის: ჩემი ხელობა თამარის მიჯნურობაა. ახლა მე პირთხავ, კინ ჩემს აზრს არ ადგია იმათ: რომელი

*) ეს ადგილი სელ-მერკედ იმიტომ მომავს, რომ არ დაავიწებს მკონელს იმისი აზრი.



რაგიანი. მწერალი დასწურეს, მეტადაც მაშინდელს დროში, რომ მე ხელობათ არშეიობა გამიხდათ!? ცხადი საქმეა, რომ სიტუაცია ხელობითა უნდა მიეწეროს სიტუაციას რუსთველი. თუ ეს ასრულა, მაშინ ცხადია, რომ რუსთველის უოფილა ხელობა და ეს ხელობა ჭრია შოთა რესთაველის. რომ არც რუსთველის სიტუაცია არც ჩემს აღსანაში დაუკვრუბელი არა არია არა, გადახავლით თვალი ისტორიას: ძევდად უკვე თქმს თანის ერთიანი ჯევანდა ან თავის მთავრი. უკვე თქმის მოთავეს ამ თქმის სახელი ჭრია, თუნდა ამავე თამარის ისტორიაში ადგი აიდეთ, მაგრამ მთავაც უკენა შეთელი, რომელიც სარდალიც იყო, მელქესენა. თმევგვის მთავარს—თმოგველი, რომელიც მწერალიც იყო, თორეთის მთავარს—თორელი და სხვა. ეს სახელები ნამდვიალათ ხელობაზე იყენება: ისინი იყვნენ წინმდომელის და გამგების იმ ადგილებისა; რომდისაც სახელს ატარებდნენ. თუნდა აიდეთ ერთიანობა: უკვე ამგვარის კაცი კა აუ იყო ერთიანი ხელობითა, იყო მარტო ერთი. ქართლის ცხოვრებაში ხშირად წაიგითხავთ: მისცა ქსინის ურისოთამა, არაგვის ერისოთამა ამას და ამას. ამგვართ გვარის მოთავეთა და თქმის უფროს მოხელეთ უკენა გვარის ბატონი. ამ სახელის მისაწმდომათ სშირად თვითონ გვარის კაცი სწორებრამდე მთელს გვარულობას. რუსთავიც უპირედია ერთი იმ გვართ თქმთაგანი იქნებოდა, რომელიც ებარა დადს გვარულობას, და ამ გვარის მოთავეობა ქსამდებელია ჭრიანდა პოეტს რუსთველის და ამბობს ამაზედ: მე რუსთველი სელობითათ. რომ რუსთველი უნდა უოფილი და დიდი გვარის კაცი ამას გვიმტებაცებს ისა, რომ ის ისრე კადნიერი და წამდგარი უოფილა იმისთანა დროში მეუღებთან, ამასთან ისიც ცხადია, რომ ის, თუ დიდი გვარის კაცი არა უოფილი იყო, იმგვარს სწავლა განათლებას, როგორიც იმას ჭრია, კურტ თვითონ მიიღებდა და არც მეფენა მისცემდნენ.

ად ის მოსაზრებანი, რომელთაც ჩენ წარმოგვათქმე ვინებს ის აზრი, რომელზედაც ისე აღელვდა და განრისხდა. კრიტიკოსი.

ანტონ ფურცელაშვ.

თეატრი და მუსიკა

— ამ წელს, როგორც ჩენს დრამატიულს დასს, აგრეთვე სომხურს დასსაც გადიათ კომიტეტი გამოუჩნდა. როგორც შევიტყოთ დასი უკვე შემდგარია და 4 სეკურიტეტის კიდეც დაიწყება წარმოდნებით. პირ-

ველ როლზედ მოწვეულია პ. ადამიანი, ქადაგის ტისტები: ექიმიან და ქარაქაშიან, დანარჩენი იქნებიან უკველა აქაური არტისტები. წარმოდგენები გაიმართება საზაფხულო (ფითოვენის) თეატრში. კომიტეტს გადაუწყვეტია თეატრის ქირისათვის დაიხარჯოს 3000 მან. ერთის სიტუაცით ხუთი-ექვები თვის განმავლობაში სომხური დრამატიული დასი კუმიტეტს დაუჯდება 8,000—10,000 მანეთამდე, ჩვენის მხრავ ვისურვებთ, რომ ახლად შემდგარს კომიტეტს საქმე რიგიანად დაემოავრებინოს, თუმცა ასეთი ხარჯის გაძლოლა ცოტა არ იყოს, საეჭვოა.

— თბილისის თეატრის ანტრეპრენიორს ბ-ნს ფითოვეს უკვე შეუდგენია ოპერის დასი; ახლად მოწვეულებში არც ერთს გვარს არ შეხვდება კაცი, რომელზედაც რამც კარგი ან აუ გეეგოს, თუმც კი ოპერები ბევრია დასახელებული, რომელნიც სეზონის განმავლობაში წარმოდგენილი იქმნებიან.— რეპერტუარში არიან ასეთი ოპერებიც, რომლები ჩვენს სახოგალოებას არ უნახავს აქაურს სცენაზედ მაინც.—

— როგორც შევიტყოთ ქუთასშიაც აპირებენ თურმე თეატრალურ საქმის რიგზედ დაყენებას. ამბობენ რომ კ. ს. მესხი დასს აღვენს და რეპრეტუარის განახლებას ცდილობსი კ. მესხმა შარშამ შშენიერად წაიყვანა ქართული დასის საქმე ქუთასში და უნდა იმედი ვიქონიოთ რომ წრეულსაც ენერგიულათ მოპირებს საქმეს ხელს და თუ სამუდამო დასს ვერ შეადგენს, თვეში ორსამ ჯერ მაინც არ მოაკლბს ქუთასელებს ქართულის თეატრის ნახევის სიმოვნებას. როგორც მყითხველებს მოეხსენება კ. ს. მესხი ერთის თვით მოწვეულია გასტროლებზედ ჩენი დრამატიულის კომიტეტისაგან, მაგრამ რადგან ეცნა კ. მესხი თვით ადგენს დასს, საეჭვოა რომ მოახერხოს თბილისში ჩამოსვლა.

— გამოჩენილი ანგლისელი არტისტი გენრის ირეგი ამ ფამად თურმე ამერიკაში, ნიუორკში იმუოფება და აღტა ებაში მოპყავს იქაური საზოგალოება, დღე ისე არ გავა, რომ პატივუმელს არტისტს ან სადილი ან ბანკეტი არ გაუმართონ იქაურ მოწინავე დასმა, იქაურ ბობოლებმა.

გოთაროვანი

გეგერი გუბა

(დასასული)

აი, აი თითქოს ქუხსო ისე მოისმის შორისან მხედართა ხმაურობა, მერე ისევ სიჩუმე ჩამოვარდა, აპა, ხელ-

ახლა მოისმის... ეს არის გუბზდა თავის ამაღლით—იგი დღეს ნაღირობს... აჯა, ძაღლების ყეფაც .. შეუპოვარი ცხენების ჭენება... ყიფინი... სტევნა... ბოლოს ნაღარაც! ღიას „ბოერი“ გუბზდა თავის ამაღლით ნაღირობს, მხოლოდ ედა შესაქცევი დარჩენია ამ სიბერის დროს...

ღამილება. ფართოდ გაშლილ მინდორზედ გაისმა „შეურის“ ნაღარა. ტყიდან და ბუჩქებიდან გამოცვინდენ მხედრები-მონაღირენი და გარს შემოერტყნენ თავის „ბოერს“. გუბზდა ზედ ზის ერთს უშეველებელ გარეულ ღორზედ, რომელსაც არ აცდენია ბებერი „ბოერის“ ტყვია.

— ჰე ბიქებო, ეინც დაიგვიანებს თავის თავს დააბრალოს, დროა წავიდეთ. დღეს მოელი დღე შინ არ ვყოფილვართ; ღამდება კიდეც—სახლამდინ კიდევ ოცი ვერსტი იქნება. მაგრამ ეს რა ამბავა? აი იქი რაღაც ღრუბელი რომ მოჩანს... ხედავთ! აბა, ბიქებო, აბა, ცხენებზედ! ეინც უკან ჩამორჩება ეახ-შამს დაპარგავს—ხომ ხედავთ ღრუბელს? აბა, ჰეირი! ჰეი!

ერთის წუთის შემდეგ მოელი არამარე ყიფინით, ათასი ცხენებია ფეხის ხმაურობით მორცა და მოელი ეს გუნდი გუბზდის ციხე-დარბაზისაკენ გაექანა.

აი კიდე გაისმა ნაღარის ხმა, ეგ ნიშნავს რომ ციხეს მიახლოვებულან—ციხიდან პასუხი მისცეს. უცელას უხარის, რაღაც იციან, რომ ბოერს ყოველის ნაღირობის შემდეგ კარგი ვახშირის გამართვა უცვერს... ვახშირის შემდეგ კიდევ მომხიბლავი, გამაგიქებელი „ჯოკი“... (*) აი ისიც, ის ჯადოქარი, ის „ღულუნა“ ჩამოუვლის „ჯოკ“, —ხან მაჟავს მდინარეს—ისე მიცურავს, ხან შველს მოგაგონებს, ხან ფიცხ ცხენს, ხან გველივით ათასნაირად დაიკლავნება, მერე ისევ გაშლება და ეინ მოსთელის, რას აერძობინებს თეალს, გულს, გონებას და ეროვნულს თავმოყვარებას! ასეთი ფიქრი უელავს, ყოველს მენაღირეს. ამ შხიარულის ფიქრთ ქვეშ უელანი მიეშრებიან ციხე-დარბაზისაკენ. აი კიდეც ხიდეს მიადგნენ; ის იყო ფეხები ჩადგეს ცხენებმა, ამ დროს უცრად ციხიდამ საზარელის ხმაურობით თოვი გავარდა... ამას ზედ მოყვა საშინელი ხმაურობა, აყელენ ძაღლები და მერე ეს ხმაურობა მდინარისკენ გაქანდა... შორს—შორს გაისმა გრგვინვა, იელვა მეტმა, გაიკენა,—მაგას მოყვა ისევ საშინელი გრგვინვა-ჭუჩილი... ბებერი გუბზდამ მყისვე ცხენი შეაყენა.

*) „ჯოკი“ არის თამაშისა—ჩევნის ლეკურს ბევრად მიჰვავს.

თითქოს სიცოცხლის ძაფი მოსწყდო—შეიტებო ბოერს—ისე დაუწყო გულში წიწინი. გუბზდა გაიმართა უზანგებზედ, მერე გადაეკონა ცხენის კისერს, ჰერა მათრახი, აერეოლდა ცხენი და განქრა... აქვე ხრამი იყო, აქვე ხიდეც, მაგრამ არც მხედარი და არც ცხენი, მათ არ ხედაედენ თითქოს არაფერს გრძნობდენ, ისე შეუპოვრად გაპქანდენ დარბაზისაც... ხან გამოჩნდებოდა ორივე-ცხენი და მხედარი—ხან ისევ მიიმალებოდენ ბუჩქებში, ხან შთაინთქებოდენ ხრამში, ხან გორის წევრობზედ გამოჩნდებოდენ...

იმ წამსვე კვალ-და-კვალ გაპყვნენ ბოერს მონაღირენიც, ხოლო როდესაც გუბზდა ეზოში შევიდა, იმ დროს დანარჩენი მხოლოდ ხილზედ იყვნენ. ერთი წუთი და აი რა წარმოუდგათ იმათ თვალწინ: ბებერი ბოერის ფეხთ ქვეშ ევდო კარის-კაცი და ცრემლებით თვალ-მორეული, ფეხებს უკოცნილა თავის ბატონს.

— აჯ, შე ჯოჯოხეთო, მითხარ რაღა—რა მოხდა, რა ამბავა?

— ბატონო, შენი ჭირიმე, უბრძანე კვალზე გაუდგნე, ეხლავე დაიჭირენ!!

— რას ამბობ, ქოფაქო, ეინ დაიკირონ, არ მეტყვი?

— „ღულუნა“... თქვენი ქალი... ირინე... ახალგაზდა ურზის შეილი, ეხლავე დაიჭირთ... ოლონდნუ აგვიანებთ...

უცელაფერი ცხადი იყო. ბებერი გუბზდა ბრაზე-ბისაგან გალუჯდა.

— მაშ, აჯა, რა ყოფილა დარდის მიზეზი? მაშ აგრე განა?! და ერთი ისეთი მიარტყა კარის-კაცს, რომ საბრალოს კინილამ სული გაძერა.

— ჰეი, დაიღრიალა ბოერმა, ჰეი ვინცა ხართ, უცელანი მოგროვდით. აბა, გამყევით მდინარისაკენ! მოეწიეთ, დაიკირეთ ორივე და აქ მომგვარეთ—ცოცხალად მომგვარეთ, ცოცხლად რომ ცოცხლადვე აუგო წესი ორივეს!...

ბებერი გუბზდა მთლიათ გალურჯდა, გულში ჯოჯოხეთის ცეცხლი მოედო, სისხლით აემსო თვალები, პირზედ სიანჩხლისაგან დორბლები გამოუჩნდა. წუთი იძრო დამბახები, ჰერა ცხენს მათრახი და შურდულივით გაექანა, მას მიჰყვნენ სხვებიც. უცელანი მდინარისაკენ მიჰკროდენ. მივიდნენ კიდეც, მარამ... რა ნახეს?! მდინარე გაზეადებულა, მთლიათ გამოცემული ია. რამდენიმე წუთის წინეთ დამშვიდებული მდინარე ახლა მღელვარე ზღვას დამსგავსებო-

და—ტალღი ტალღებზედ საშინელია სისწრაფით და ხმაურობით ხტოდენ, იგი ეხლა იყო ზღვა ნამ-დეილი, ტყვილად არ შეწუხებულა ბოერი, როცა და-ინახა შევი ღრუბლები, ტყვილათ არ იყო გრვენეა ქუხილი: იქ, საღაც პირველათ ღრუბლები გამოჩნ-დენ, ნაიღვარი წამოსულა და ხომ ცნობილია, რომ მდინარის სისწრაფეს ნიაღვრის დროს ვერაფერი შე-ედრება-რა... პრუტი ვეშაპსა ჰგანდა!

— ,მაგრამ ეს რმ ამბავია?“ ყველანი გაყუჩ-დენ. თეალწინ წარმოაუდგათ საზარელი სურათი: ასე, სამოცი ადლის სიშორებელ, იქ საღაც დამშეიდებუ-ლი ღროსაც ყოველთვის მორევი იყო ხოლმე, ეხლა საზარელ სანახავს წარმოადგენდა. იმ ადგილს თით-ქოს ქაჯი დაბუდებულაო, ისეთი საშინელება იყო: წყალი ბლაოდა დაჭრილი ნადირისავით და ნამდვილს აღულებულს ქვაბს დამსგავსებოდა. დიდი, უზარმაზა-რი ხე ჩხირისავით ტრიალებდა ამ შეუბრალებელ მორევში. მორევის შორ-ახლო რაღაც შევი ხავანი მოხანდა, რომელიც თითქოს ნაესა ჰგანდა. შერ კი-დევ სინათლე იყო, ჯერ კიდევ მრისხანე შავს ღრუ-ბლებს არ დაუბნელებია ქვეყანა და ამიტომ აშკა-რად გამოჩნდა ნავი და შიგ მსხდომნიც; ახალგაზღა-ურზა და „ლულუნა“ ირინე განსაცდელში იკვენ-დენ...

ბებერი გუზდა გაქვადა, შიშისაგან ყველანი მიყუჩნდენ და ელოდნენ ბრძანებას. აამდენმე მტან-ჯველი წუთმა ასე გაიგრა. ბებერი გუზდამ თვალი გადაავლო თავის ამაღლას.

— მიშველეთ! დაიხსნით,! ხმის კანკალით წა-იბუტბუტა ამ ყოველთვის გულადმა, მკაცრმა და მრი-სხანე ბოერმა, ყველაფერს, ყველაფერს მიესუებ იმას, ვინც იმათ დაიხსნის; მონათ გავუხდები! მიშველეთ! ოლონდ დაიხსნით და ორივეს ვაპატიებ, ორივეს... წავალ დავიხინებ ბებერი ურზის წინ, ოლონდ და-ი-სხნით, მიშველეთ!...

მაგრამ რას შეადგენს კაცი თეისის დიდებით ბუნების ძალასთან, სტიქიასთან!? ჩვენი ტანჯვა და სიხარული მათ არ გაეგებათ! ყველანი თავ-ხალუნუ-ლი იდგენ. არენი იდებდა ხმას და შესაძლებელი იყო განა ხმის ამოლება? ბებერი გუზდა მიხედა ყოვე-ლისფერს და სანიშნელი, გამბედავი, ჩვეულებრივი სი-მხნევე ჩაქსა სხეულში.

— ნავი, ნავი მიშოვეთ, მე თითონ წავალ! დაიყვირა გუზდამ, ცხენი, თოკები მომეცით. საჭე... ნიჩვები!.. ეტყობოდა რომ თითონაც არ გრმობდა, რასაც ლაპარაკობდა. მდინარე კი თანდათან უფრო მატულობდა. მაგრამ საიდან იშოვონ ნავი!?

ამ დროს პაწია ნაემა კიდევაც მიაღწია მორე-გამდინ და ის იყო დაიკარგა კიდევ, მაგრამ მერე ისევ გამოჩნდა და საშინელის სისწრაფით დაიწყო ტრიალი ერთს ადგილს. მაგრამ არა! აი, თითქოს გაჩერდა... მაგრამ არა, არა! ეს ოცნებაა:... რაღაც გასტყდა—ნაეიმიეხალა უზარმაზარ ხეს—გაისმა გულ-საკლავი უიმედობის ყვირილი... ნავი მტერად გა-დიქა!... „ლულუნა“ ირინე განქრა... აი გამოჩნდა მისი შკერდი... აი, აი მისი თმებიც, აი მთლათ გა-მოჩნდა... და ისევ შთანთქეს ტალღებმა, ხოლო ეხლა კი სამუდამოდ. ლიახ, სამუდამოდ! მართალია, იმას კიდევ ამოაგლებენ საღმე ტალღები, მაგრამ ეს საღმე შორს, შორს იქნება და „ლულუნასაგან“ არა დარჩება-რა.

ეს ყოველივე ისე სწრაფლად მოხდა, რომ იქ დამსწრებმა თვალიც ხეირიანად ვერ მოჰკრეს. არავის არ ამოულია ქრინტი. ყველანი უყურებდენ ღიდს ხეს, რომელსაც ჩამოჰკიდნია ახალგაზდა ურზა და გაშმაგებით ებრძეის უჯნურს სტიქიას. აი ურზამ მი-ინედ-მოიხედა გარშემო: ნაეისაგან არა სჩანდა, რა-არ სჩანდა ირინეც. ურზა მხოლოთ ერთა მიხედა თავის უბედურებას.

ერთი შეპხედა ზეცას, რაღაც ინიშნა და ჩაგარ-და შიგ შეა მორეში... ერთი კიდევ ამაგლო წყალმა და მერე ისიც განქრა სამუდამოდ... შეპყარა ისინი წყალმა თუ მოაშორა ერთმანეთს? შაგრამ ეს არც საჭიროა. განა ლეშები რასმე იგრძნობენ?..

ბებერი გუზდა დაემხო მიწაზედ. იგი არ სტირო-და, მაგრამ მთელი მისი აგებულება კანკალებდა. იგი იგლეჯდა თმებს, ხან ლოცულობდა, ხან სწყევლიდა ვილაცას. ყველანი იქ მყოფნი მუხლებზე დაეშ-ვნენ...

ცა კი სრულებით მოილურბდა. შევი ღრუბლე-ბი ტყიასავით მძიმედ ჩამოაწენენ დედა-მიწას. ყოვე-ლისფერს დაედო გლოვის ფერი—თითქმის სუნთქევაც გაძელდა, ჰაერში რაღაც დამწვარის სუნმა დაპერა.

წამოდგა ზეპედ ბებერი გუზდა. მრისხანე თვა-ლები კარგს არას მოასწავებდენ.

— ეხლა სულ მარტოდ-მარტო დაერჩი, სრუ-ლებით მარტო, სრულებით! შენ წამართო ყოველის-ფერი, ბარემ მეც წამიყვან! დაიღრიალა საშინელის ხმით და ზედ შემოიფრინა გულის პირი—აპა, დაპა! და მუქარით მუშტი მოულერა ზეცას, არ გინდა გა-ნა? ხა! ხა! არ გინდა, არა?? მე შენ გითხოვ, ოპი

ზეცავ! გამოდი რალა!? არ გინდა განა? ხა! ხა! ხა!
ხა! მერე ამოილო დაშბაჩა, ცოტა შეჩერდა, მიემიშნა
ცას და გაისჩოლა. ყველანი შეკრონ. წუთმა სიჩუ-
მეში გაიარა. გაგიფებული ბებერი მრისხანეთ შეცყუ-
რებდა შეუბრალებელ ზეცას. უკრად რალამაც და-
იხმაურა. მთელი ჭირიზონტი განათდა. დაპერა ქუ-
ხილმა. დაპერა მეორედ... დედამიწა შეიძრა... რო-
დესაც ჭიქა-ქუხილი დაწყნარდა ბებერი გუზდა გაშხ-
ლართული იყო მიწაზედ, დაშბაჩას ბოლი აზლიოდა.
ბებერი სიკედილს ებრძოდა—ერთი წუთიც და „ბო-
ერიც“ განქრა სამუღმოდ...

ზეცით ციხე-დარბაზში რალაც დაინგრა, ყველა-
ნი მიბრუნდენ... მეხისაგან დარბაზს ცეცხლი მოჰკი-
დებოდა—მალე ესეც განქრა სამუღმოდ...

ორი, მხოლოდ ორი ჭიქა-ქუხილმა ყველაფერი
წაართვა ბებერს გუზდას და თეთონაც გადაიყოლია...

მის აქეთ საუკუნები გავიდნენ. არაფერი არ და-
რჩა გუზდის ღილებისაგან, ხოლო ყოველს წელი-
წადს იმ საზარელი საღამოდან მოყოლებული ერთს
დღეს უთუოთ გაისმის ამ ადგილას ერთი დაშბაჩის
სროლა და მის პასუხად ორი ჭიქაც. ამბობენ
რომ იმ ღამეს პრუტიდან ამოდის თმა გაშლილ ქა-
ლიო და ვინც იმას დაინახავს იყი უთუოთ დაიღრ-
ჩებათ, იყი თურმე თავის სიღამაზით ჰეიბლავს და
აჯადოებს ყოველს დაგვიანებულს მგზავრსაო.

ღამით ვერც გადავა კაცი მდინარეს, ვერც ახ-
ლო მოუკელის და რაც გინდ გამშედავი კაცი იყოს
მაინც ირჩევს საღმე ბუჩქებში ღამის გათევას, ვიღრე
მდინარის გასევლას და მხოლოთ მაშინ დაადგება თა-
ვის გზას, როდესაც დილის როგორაც გაანათებს მნე-
ლს და მწუხარს დედა მიწას. .

ცილაში

სალხური პოეზია

გორში ერთი ჭარი იურ
თავი უგვნება ქილასა,
ზედ აური რწევილი ასეულა,
იქ იჭეობდენ ბინასა;
ზენა ჭარი ამოგარდა,
გადმოდიოდნენ ეირასა.

თატატი ჭალი ბრძანდები, ბიბულისა
შეგირდათ მოგებარები,—
შილობად ამას დაგიდებ
ხანდასხან გაგჟარები.

(შეკრეფილი რ. მირზანელისაგან)

ავი პატარძლის უოდასა,
სასადი გიფობს სახლშია;
ჯამ ჭურჭელს ჩხები მოსვლაა,—
წუმწუმშია და დაზშია,
ქოთანი კარში მოგორავს,
ციცეკი გა იცემს თავშია.

(შეკრეფილი გორგისაგან)

ხადის თავსა და გორს შეა-
ერთი მოუკარე მუკანდალ;
არც არა მე მიუტნე,
არც არა იმას ჭჭონდათ,—
გამომისტუმრა მშიერა,
იმისი მამა ცხონდათ.

შაქარზედა უფრო ტებილო,
სანთელივით ჩამოქნილო,
ჩენ შეუფებელ ნუ გაგიგაროს,
ტურფა, ჭოჩორ-დავარცხნილო!

შენი ჭირიმე, პაჭირო,
თაფლო ტებილო და შაქარო,
ჩენ აშენებულ მამულზედ,
გან უნდა დაასახლ-ერო?

(შეკრეფილი სოსიკოსაგან)

კვირილან კვირამდე

* * * სოფ. ქარელიდან გვატყობინებენ, რომ წა-
რსულს კვირას ამ თვესას, იქ სცენის მოყვარეთ ქა-
რთული წარმოდგენა გაუმართავთ. უთამაშნიათ
„ძუნწი“ და „ბიძიასთან გამოხუმრება“. ფული წა-
რმოდგენიდამ ბლომად შემოსულა, მაგრამ ზურნა,
ვახშამი და სხვა მაგ ვერ შესაქცევებისათვის არა
ნახევარ შემოსავალზედ ნაკლები დაიხარჯაო. საკირ-
ველი ქველ-მოქმედების მაგალითია თქვენმა მჩერ!

* * * ჩუსული ოპერების წარმოდგენა დაიწყება 30 აგვისტოს. სომხური დრამიტიული დასი 4 სეკ-ტემპერატურის, ხოლო ქართული წარმოდგენები დაიწყობათ სეკტემბრის დამლევს. მეტადგვინ კი იწყობენ ჩვენები!

* * * გაზეთი „ჩავხავთ“-ის სიტყვით ოპერ-პროექტის სინოდისა კ. პობედოსოცვევი და მის კანცელარიის მმართველი ბ-ნი საბლერი ჩამოვლენ 30-ს ამ თვეს.

* * * იმავე გაზეთის სიტყვით ბ-ნი ჩისტოვიჩი, დანიშნული გამომძიებლათ აქაურის სემენარიისა, მალე ჩამოვა ქალაქში. სხვათა შორის ბ-ნს ჩისტოვიჩის მინდობილი აქეს აგრეთვე სხვა სასწავლებელთა გინხილვაო.

* * * ქვათა-ხევის მონასტრის მმათა პალატში ინახება სურათი საქართველოს კათალიკოზის ანტონ პირველისა. ეს სურათი საუცხოვო რამ არის თავის გარეგან შეხედულობით და სახის გამომეტყველებით, ახალს დაბეჭდილს. სურათებთან იგი დაღად განსხვავდება, ასე რომ შედარებაც არ შეიძლება. ეს სურათი ტარასი არხიმანდრიტს მოუპოვებია ქართველის ბატონიშვილებისაგან და რუსეთიდამ გადმოუტანისა ქართველობში. კარგი იქნება, რომ ამ სურათს ჯეროვანი ყურადღება მიაპყროს ჩვენმა პატივცემულმა ალექსანდრე ეპისკოპოზმა და ანტონისავე თხუზულების „მზა-მეტყველებას“ თავში ჩაურთას, რომლის თხუზულებაც დღეს ცალკე წიგნად იმეცდება.

* * * ამ დღეებში ჩენ მივიღეთ ერთი ფრანცუზურული წიგნი სახელდობრ „აზიური მუზეუმი“. დაბეჭდილია 1848 წ. პეტერბურგში. სხვათა მრავალთა ცნობათ შორის შიგ ჩართულია რამდენიმე ქართულ წიგნთა სახელები. აღწერა ბროსეს ეკუთვნის. ამ კატალოგში ბევრი უცნობი და სინტერესოვანი ჩართული წიგნებია ჩამოთვლილი.

* * * ჩენი კორესპონდენცი გვატყობინებს ფოთიდამ, რომ ამ უკანასკნელ დროს, ბათუმის პორტ-ფრანკის ახსნის შემდეგ, ფოთს არა ჩეულებრივი მოძრაობა და სიცოცხლე დაეტყოვო. ვაჭრობა-საც ფრთხები შეესხაო. მოგზაურებიც ბევრი მოდიან, მიწების ფასმა ერთი ორიდ აიწია, ასე რომ რაც ამ რამდენიმე თვის წინეთ 200 მანეთად ღირდა ეხლა 400—500 მანეთად ვერ იშოვებათ.

* * * იქიდანვე იწერება კორრესპონდენცი ტრანსტრანს წარმოულს 12 რიცხვს ამ თვისას ფოთის ესტუმრა სამხედრო მინისტრი ვანოვასი, ძეირფასი სტუმარი დიდხანს ათვალიერებდა ფოთის ნავთ საუცდარსა, ბევრი ელაპარაკა ქალაქის თავს ბ-ნს ვახრამოვს ქალაქის მდგომარეობაზე, ბოლოს ქალაქმა ჩენის გზის გაკზალზედ პატივცემულს სტუმარს საღილი გაუმართა, საღაც დაესწრენ ქალაქის წარჩინებული პირი და სხვა-და-სხვა დაწესებულებათა უფროსებიო.

* * * იქიდანვე გვატყობინებენ, რომ ქალაქის თავის არჩევანები მაღლ დადგებათ და ამიტომ ეხლავე დაეტყო აქაურებს პატრიებად დაყოფათ. ზოგს „გოლოვობა“ და ზოგს კიდევ მისი თანაშემწის აღგილის ხელში ჩაგდება მოუწდომნით...

* * * იქიდანვე გვწერენ, როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, ფოთში დაარსებულია ახალი ეპარქია და ეპისკოპოსისათვის შესაფერი სახლი ვერსად ვერ იშოვეს საქირავებლად, ეხლა თურმე ქალაქის გამგეობა შეუდგა ახალი ხახლის შენობას, რამდენიმე ხნის შემდეგ კიდეც დამთავრებენო.

ს ლ ე ნ ე ბ ი

ერთი ახლად ჩამოსული კეთილ-შობილი კაცი პანება სიცხეში ქუჩაში დგას და რაღაც უიმედო თვალით სახლებს ათვალიერებს. ამ ღრის კონტომ გაიარა:

— კნიაზ, დუღი აგურცა, მსხალი გულაბი, აელცინ ლიმონი, რაც შენს გულს უნდა სულ აქა, რას ინებებ კნიაზი?

— რა მაგისა მცალიან, შეილოსა!

— ვა, კნიაზ! რამე უბედურება ხომ არ შეგეთხვა, ჰა?

— უბედურება მაშ რა ოხრობაა, აგერ სამი სათია, რაც ქუჩა-ქუჩა თავ გადაგლეჯილი დავდივა ამ ამოსავარდნელ ქალაქში, ერთი ნაცნობი კაცის სახლს ვეძებ და არ იქნა, ვერ ეპოვე, და ვერა! იქნება შენ იცოდე ეს სახლი ვის ეკუთნის!

— ეს სახლი, კნიაზ, ეკუთნოდა ვიღაცას, მერე ვიღამაც იყიდა და ეხლა კი შიგ ვიღაცა სდგას.

— აივაცხონ მამი შენის სული, სოქვა კეთილ-შობილმა და თამამად გასწია სახლის კარებისაკენ.

* * * ერთი სოფლელი ქვრივი მებატონე უ-
ზდის „ნაჩალიკთან“ ემზადება წასასელელად და
სარკესთან ციბრუტივით ტრიალებს.

— ბიჭი მოსიკა, არ გესმის შე....

— რა გნებავს, ბატონო, შენი ჭირიმე?

— აბა ერთი შემომხედვე, მოგწონვარ? ჰერთხა
ბატონმა.

— ჰერთხ, სწორედ რომ მომწონხარ შენი ჭირიმე!
— ლამაზი გარ?

— ძან, შენი ჭირიმე, ბატონო.

— აბა ნეტა ვისა ვგევარ?

— ნეფეს შენი ჭირიმე!

— არა მაინც-მაინც?

— ზედ გამოჭრილი ლომი ხარ შენი ჭირიმე.

— მერე შენ ლომი სად გინახავს?

— იმის მეტი რა მინახავს შენი ჭირიმე, ყოველ
ცისმარ კვირას ვხედავ.

— მერე სადა ბიჭო?

— აი ბატონო ჩვენს ეკლესიაში-აი, ი დიდი
ნახატი რომ არის მარჯვენა კედელზედ, წმინდა სა-
ნთელსაც რომ ჰყიდიან.

— მერე იქ ლომი სად არის?

— ლომია მარა არის, ბატონო, რაღაცა ნა-
ხატი რომ არის....

შეწყობა ყოველ საქმეში, რომელიც მასშეს კე-
ლებით უფრო დამკიდრებულიყოს უცხოელე-
ბის და ადგილობრივ ეროვნების ურთი-ერთის შორის სი-
ყვარული და მეგობრული დამკიდებულება.

როგორც გაზეთები იუწყებიან გამოჩენილი რუ-
სის მწერალი გრაფი სალტიკოვი (შედრინი) ეხლა
კარგათ არის და კიდევაც შეუდგა ახალს თხზულებას.

პარისის გაზებში სწერენ, რომ ვიღაც ახალ-
გაზდა ქალს, რომელსაც თურმე დედ-მამა უშლიდა ერ-
თი ახალ-გაზდა კაცის ცოლობას, ერთს დღეს
დედა მოუწამლავს და შემდეგ მამა. შეუტყვია თუ
არა საქმროს ეს ამბავი, მაშინათვე პოლიციისათვის
შეუტყობინებია და ქალი ლღეს დატუსალებულია. აი
ესეც ძალატანების შედექი! —

ასენა სიტუაციის გამოცანისა.

1. ღმ—ერთი=ღმერთი.

2. სა—ჭართველი=საჭართველო.

3. მამ(ა)—აა=მამა.

გამოიცნეს: მათივთ საფორელმა, ლიზამ და სანდრომ.

სიტუაციის გამოცანა.

I სასედ-წოდებას წოდებითი ბრუნვაში მაუმატეთ ერთი
გვარი მცენარის სასედი, მრავლობით რიცხვში: კელა
ეს შეადგენს ისეთს სასედ-წოდებას, რომლით შირუტევი
მეტყველისაგან განიოჩება.

II შინაურის ცხოველის სასედ-წოდებას უქანასქელი
ხმოვანი ასო შეუცემალეთ მეორე ხმოვან ასოთი, ამას მა-
უმატეთ გაუის სასედ-წოდება ხოლო უქანასქელი ხმოვა-
ნი ასო მეორე ხმოვანით შესცემალეთ—ამას კიდევ მაუ-
მატეთ სასედ-წოდება სამდოთოწერილიდან ნათესაბით
ბრუნვაში: კელა ეს შეადგენს ჩვენ თანამედროვე მწერა-
ლის სასედს და გვაცს.

გამოცანა უოპუსი.

დადექით სკამ ჭეშ ისე, რომ წელი არ მოიხსეროთ
და მუხლები არ მოიგეცოთ.

საღ რა მომხდარი.

X საოცარი ველური ჩვეულება არსებობს თუ-
რაც ყირლიზებში: თუ ერთი ყირლიზი მეორეს გადაემ-
ტერა, მაშინ ეგ პირველი თურმე თავის შეილს
ჰყლავს და სამსჯავროში უჩივის მტერს, შეილა შენ
მომიკალიო... .

X აი რასა სწერს ინგლისურს გაზეთებში: შეიდი
წელიწადი არ არის რაც ჩვენ ინგლისელებს კიბრო-
ზედ გაელენა გვაქვს და ამ შეიდის წლის წინეთ
სრულებით გაუნათლებელს ხალხს, დღეს რამდენიმე
გაზეთი აქვთ საკუთარს ენაზედაო. გარდა ამისა კი-
რის მცხოვრებლებს საკუთარი სამსჯავრო და სხვა
მაგევარი დაწესებულებები აქვთო... საზოგადოთ
ინგლისელი გაზეთები იმ აზრისანი არიან, რომ
ყოველს ეჭირვება აღრჩდა-განათლება, ხელის

გ ა ს ი ა რ ი ა ბ ი

განსკვებული თ. დ—ი გ—ელი, როგორც ავი
ენები მოგვითხრობენ, დადი „ტრაბახი“ და „ტრ-
შენტელა“ კაცი ბრძანდებოდა თუმცე.

ერთხელ ოდიშიდმ ერთი თავადიშვილი ესტუმია-
ნებარ-სესებულის. საღილად რომ დასხდეს თუმცე, მას
შინძელმა მაცტანისა ერთი ბრთლი დაბეჭდილი დვინო
და თავიმოწონებული უთხრა სტუმარს:

— აბა, ინგეთ; ხახეთ როგორია ჩემი მამულის
ღვინო!

— თუთხმეტი წელიწადია, დაუმატა თუმცე მასპინ-
ძელმა, დაბეჭდილ ბრთლებში მაქს შენახული ეს ღვინო
და ჯერ არ მისახვს, მაგრამ წინ-და-წინ კვრმნობ,
რომ უსათუდ მოგეწონებათო. როდესაც მოსამსახურებ
ბრთლს თავი მოახსნა უკრად, დასწულოს ღმერთმა,
ბუზი ამოფრინდა ბრთლიდნ!...

— როგორ მოგეწონათ ღვინო? ჰყითხა თუმცე
მასპინძელმა სტუმარს, როდესაც უკანასკენმა გაშინჭა
ხახდა ნუუუ. არ გიგვირსო, დაუმატა ტრაბახით თავ.
დ—ი გ—ელი, რომ ამოდენა ხანს ასე მშენიერად შე-
ნახულა ჩემი ღვინით!

— მიკვის! — მიუგო თუმცე სტუმარმა — მაგრამ
ის უფრო მიკვის, ბატონო, რომ თქვენში ბუზები ამ-
დენს ხანს სტელჭენ და ისიც ბრთლებში დამწერებულ-
დიო!

თირელი

ორი ტრაბახა ვაჭ-ბატონები ბაასობენ:

— წარმოადგინე, მე ჩემის ახალის ცხენით ერთს
წამში სამი გერსტი შემიძლიან გავირბინოთ!

— ეს იქნება კერ შევიძლოვო, მიუგო მერემ,
მაგრამ ტუფილებს შენს მეტს დაგანარცხებო!

* * * საზოგადოთ ცხობილია, რომ ქალაქის კინ-
ტოები მეტად ენა მოსწრებულია არას, ამასთანავე თუ-
რიე დაქსებასაც „იგონებენ“ (თხზავენ). მართალია, ამ ლე-
ქსებში არც „ქექა-ქეხილს“ არც გულის და სულის
დუღილსა არ შეხვება კაცი, მაგრამ მაინც საუკრადლე-
ბოა მათი მუზის შეთანხმება. აა მაგალითი: ორი კინ-
ტო ერთი მეორის შირდაპირ სხედან და დაახლოებით ასეთი
ხასია აქვთ:

— აბა, კაგული, თუ ბიჭი ხარ ერთი დამუშავებულია,
გონე, მაგრამ იცი ნახევარი რესული იუგეს ნახევარი ქა-
რთველი.

— რატომაც კერ მოგიგონებ, ასეთს-ასეთს მოვი-
გონებ, რომ სულ ახალი მოდის იუგეს, და კაგულა
დაიწურ ექსპრომტად:

ტებე ნიკტო ნე რბდიტ,
კაგდა მინე ბლისები ბუდიტ.

ტირი კაგულ ჰედ მოხდილი
გეგდრება შონჭოლუსტა.

მოლაკო არის ბეზ კასტი,

ტირი კაგულ ტებე გოსტი,
მაზვოლ იამუ ადინ პროშტი,
ას, მო დუმა შონჭოლუსტა!

დღეს სეკოდნა ნი ხოლოდნა,

არც შენ იქნები გაფოდნა,
ხელ გაურილი არის მოდნა —

პადი კომნე შონჭოლუსტა!

როგორია, შექევლა კაგულამ, მგონი სულ ჭაგრე-
ბი აგითამაშა; აბა თუ ბიჭი ხარ, ერთი შენც მოიგონე
მაგისთანა, აბა ერთი მოუკი შენს გოგრას იქნება რამე
გამოძორეს.

— ვა, მალიან ნუტრაბახობ, მამა გიცხონდა, შენ
თუ მოიგონე მე რა კირის ჩანჩალა ვარ რომ ჩამოგრჩე,
და გეომ დაიწურ ექსპრომტი:

პრაშუ უკას მე ნუგეში,

გი პრიმიტე შენს უბეში.

თუ ზაბედუ მე ჩემს დღეში,

ტაგდა ბუდუ სუმაშედი.

გაგ ია გიუ თვალი მტრივა,

სერცე მოია შენზე მივა.

გაჭმ ნე ჟალეა ჩემი თავი,

ქადაქისთვის შესართავი.

მე რომ თაბახით დავდიგარ

ზაჩემ დღია ვას არ ვარგივარ?

ამ მოგეწონება აა, რადაც სიამაყით დააბოლოვა გეომ.

ქალაქელი.

თუმცა დაოგენს არ ვინ ემსახურებოდა, მა-
გრამ ერთს დროში მასაც ჭერნდა მონა, არომეტაც გამტცა.
მეგობრები უარებენ დიოგენს — მოსძებნეო. «საქმე ხომ

არ გამოგდებიათ? თუ მონას შეუძლიან უჩემოთ ცხოველია, მე კი უიმისოთ კურ გავძლებო?!

* * ერთხელ დიონისის მოურავი სამუსი გაუძღვა არარისტის წინა და თავისი პატრონის ჩინებული მარმარილოთ აგებული მდიდრული სასახლე აჩვენა. არის ტიპი უცბათ შედგა და თავის თანა მოგზაურს სახე შეაფერთხა. სამუსი აირიგა. «მე აქ იმისთვის ადგილი ჰქონა კონკრეტული არა მართლენი გამოფერთხება შემძლებოდა!» იმართლებდა თავს არისტიპი.

ერთს მამას, რომელსაც უცდოდა თავისი შეიძლია არაისტიპისთვის შეგირდათ მიებარებინა, ფილოსოფიას მა ჯილდოთ ხუთასი დრომი სოხუმი!! ხუთასი დრომი? შექმენილია მმამ, მაგ ფასად ხომ ერთ მონაც ვიყიდა!»

„მაშ გარგა, მაგ ფულით ერთი მონაც იყიდე და მაშინ რომ მონა გაუდღება, — მიუგო არისტიპმა.

«თ მ ა თ რ ი» ფ ი ს ტ ა.

ბ—სს დოდეკ—მაღარსების. ოქვენი ლექსი ვერ დაინტერესობდა. მართალია, რიმები და ლექსთა წყობა ცოტად მარც დაცულია შაგრამ გრძნობითა თანდათანმა სრულებით არ არის უამისოთ კი ლირიკული ლექსები. შეუძლებელია, სცადეთ კი დევ—

ბ—სს დ. დოდეკობის. გმადლობით გამოგზავნილისათვის; თავის დროზე დახეჭდილი იქნება.

ბ—ნთ სხეა-და-სხეა პირებს, რომელიც სჯავრობენ ჩეპერე—რატომ წერილები არ დაგვიტესტოთ. პატრინა, უნდა იქნიოთ შედევლობაში და არა მარტო ამ უმთხვევაში, არამედ სამუდამო, რომ ჩეპენს გარდა წერილებს სხეანც სშინაგან და აფასებენ და, ხშირად რაც ჩეპენს «veto»—ს ასცდება...

ქ—ბ—სს ქ—ოგ—ვისას გმადლობით გამოგზავნილისათვის, თავის დროზე დახეჭდილი იქნება.

ოჩამებირეში ბ—ნს სიმოს დოდეკა. ოქვენი წერილი მივიღეთ—თხოვნა უკვე აღსრულებულია.

გროვი ბ—ნს თაქატრის მუშას. ოქვენი წერილი მივიღეთ; დიდათ ვწერვართ, რომ თხოვნას ვერ გისრულებთ, სხვა რომ არა იყოს—რა მარტო ფოსტა თრი მანეთი გვიჯდება წელიწადში. ლექსებს დაგეტელავთ თავის დროზე.

გროვი ბ—ნს ზაუელს. ოქვენი ლექსები მივიღეთ, იქნება გვაძეს კვლავაც არ დაგვივიწებთ. თხოვნა თქვენი აღსრულებული იქნება, მხოლოდ პირველ იანვრამდე. ერთი მეგობ-

რული რჩებაც: თქვენ, ჩეპენისაზრით, უფრო ტემპურული მუსიკის წერა, მაგაში იქნება თქვენც ლაგერთან მოლდ და ამიტომ მშრალ გონიოთ და მეგობრულად გირჩევთ ჯერ-ჯერობით თავი დაანებეთ დიდი ლექსების წერას... გზას ნუ აუზვეთ ამევნის მედლებს, მარტივს და გრძნობით სასეს აზრობინ ლექსების..., გვერწმუნეთ, რომ ცედეს არაფერს გირჩევთ.

ბ—ნს ბეს— გალ—ძეს. ოქვენი პატივცემული წერილი მივიღეთ. გასრულებით დაგალუბულს. ტემპურულან და ზეგდილილან არაფერი არ მოგვსელია. დასასრულ განუსაზღვრელ მიდღობას მოგახსენებთ —

რედაქტორ-გამომცემლის მაგიური ვალერიან გუნია

გ ა ნ ც ს ა ღ ე ბ ა ნ ი

ქალს, რომელსაც აქვს შესრულებული სწავლი პეტერბურგის ინსტიტუტში, წმიდის გეგტირინისა, ქსურს იულიოს შავიორდები, ას-წავლის ან გაამერორებინოს ერვენს საგანზე, ანუ ენებზე: ფრანციცულსა და ნემეცურზე.— იკითხეთ: მისაილოვის ქუჩაში, სახლი ქვ 82, ერისთვისას.

ჩევეულებრივ წინა წლებისა ამ მომავალი მოგების 1 სემეტების 5^{0/0} სახელმწიფო მოგებანი შეიძლება შესუიდულ იქმნებ დრო გამოშვებითი ფულის შეტანით 31 აგვისტომდე. ბილეთების ნუმრებს ტელევიკრამებით შევატუბინებთ. ბილეთების მუიდველებს შეუძლიანთ, თუ მათი სურვილიც იქნება, ჩაწერონ თუნდაც მარტო სეგმებრის მოგებაში. ბილეთების დაზღვება დის 45 კაპ. გარეთ მცხოვრებლებს 17 მანეთის გამოგზავნის შემდეგ დაუუღვნებლებვ გაეგზავნებათ მოწმობა ბალეთების სერიის №-თა. თხოვნა შეუძლიანთ მოგვმართონ, აგენტს ბანგის ფირმისას „გენრის ბლოგა“ ბ—ნს შ. მაღაშეს ქალ. თბილისში, გოლოვინის პრისტეპი, პაპიროსის მაღაზია „ივრიაში“ დილის 9 საათიდამ 1 საათამდე და სადამოს 5 საათ. 8 საათამდე.